

გამარჯვებას მოაქვს ორი ქულა

თბილისი. "დინამოს" სტადიონი. 19 ივნისი.

"დინამო" (თბილისი) – "კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 3:2 (2:1).

"კრილია სოვეტოვი": მიგალევი, მაზეპოვი, კოლცოვი, მაქსიმოვი, კარპოვი, ვედოროვი, გუზიკი, ჰუსეინოვი, დეინეკინი, ბრედნევი, კოჟუხოვი (დანილოვი).

"დინამო": კავაზაშვილი, ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა, სიჭინავა, ზეინკლიშვილი, მელაშვილი, იამანიძე, კალოევი, ლოლობერიძე, მესხი.

მსაჯი ნ. პოდგორნი (მოსკოვი).

მატჩის იოლად მოგებაზე რა თქმა უნდა, ფიქრიც ზედმეტი იყო. ჯერ ერთი, "კრილია სოვეტოვთან" თამაში, მისი სპეციფიკურობის გამო საერთოდ ძნელია, მეორეც – ვოლგელთა გუნდმა ზედიზედ 4 მატჩი მოიგო მეტად ძლიერ მოწინააღმდეგეებთან და ამჟამად საუკეთესო ფორმაში იმყოფება.

და აი ყველაფერი ამის გათვალისწინებითაც 2 ქულის აღება "კრილია სოვეტოვთან" შესაძლებელი გახდა მხოლოდ უაღრესად დამაბული, მძიმე ბრძოლის შემდეგ.

თბილისელი მაყურებელი კარგად იცნობს "კრილია სოვეტოვს". გუნდი ყოველთვის თამაშობდა ე.წ. მასირებული დაცვით, როცა მოთამაშეთა განლაგება მინდორზე დაახლოებით ასე გამოიყურება 1+4+3+3 და კომბინაციური თამაშის გაშლა ამ "ბეტონის" წინააღმდეგ მეტად ძნელ საქმეს წარმოადგენს. გუნდს ახლაც აქვს ერთგვარი აქცენტი დაცვის გაძლიერებაზე, მაგრამ "კრილია სოვეტოვი" ამჯერად სრული ძალებით იბრძოდა თავდასხმაშიც და მხოლოდ მძიმე მომენტებში სწევდა უკან შუამარბებს.

კუიბიშეველებმა კარგად იცოდნენ, რომ თბილისის "დინამო" მათზე ძლიერია როგორც ტექნიკურად, ისე სისწრაფეში, ამიტომ ისინი საკუთარი თამაშის აწყობაზე იმდენად არ ზრუნავდნენ, რამდენადაც იმაზე, რომ მოეშალათ მოწინააღმდეგის მექანიზმი, არ მიეცათ დინამოელებისათვის ბურთის დამუშავების, სწრაფი მოძრაობის, ტემპიანი ურთიერთმოქმედების საშუალება. გუნდმა ამას მიაღწია იმით, რომ მისი წევრები განუწყვეტლივ, სისტემატურად აგზავნიდნენ ბურთს ხაზს გარეთ, ხელით იჭერდნენ მას, ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ შეეჩერებინათ თბილისელი მოთამაშეები. ამის გამო მატჩის სანახაობითი მხარე დიდად დაზარალდა და ნ. პოდგორნის წამდაუწუმ უხდებოდა თამაშის შეჩერება.

თბილისელთათვის ძნელი იყო ასეთ პირობებში თამაში. მაღალი ტემპი და ბურთის დამუშავება მოძრაობაში გუნდის მთავარ ძალას წარმოადგენს და ამ ძალის გამოუყენებლობა მისთვის დიდი დანაკლისია. ამიტომ იყო, რომ პირველ ტაიმში "დინამოს" თამაში არ ჩანდა და დაცვას საკმაოდ დიდი დატვირთვის გადატანა მოუხდა. აქ პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის დიდი სარგებელი, რომელიც გუნდს გაუწია თორაძის გამოსვლამ ცენტრალური მცველის პოსტზე. ამით გადაიჭრა ორი რთული პრობლემა დაცვის ხაზში და რომ ხოჭოლავას არ წაეგო ბრძოლა სისწრაფეში გუზიკთან, "დინამოს" კარი საერთოდ უხიფათო იქნებოდა განვლილ მატჩში.

ნახევარმცველები სიჭინავა და ზეინკლიშვილი ნაყოფიერად მუშაობდნენ დაცვითი ფუნქციების შესრულებისას, მაგრამ გუნდის შეტევაზე გადასვლის დროს მათს გადაცემებს აკლდა სიზუსტე.

შესანიშნავად ითამაშა "დინამოს" მარცხენა ფრთამ (ლოლობერიძე-მესხი), რომელიც ცენტრში კალოევის მხარდაჭერით გუნდის ძირითად დამკვრელ ძალას წარმოადგენდა და ფაქტიურად მიჰყავდა თამაში. ეს განსაკუთრებით ხელშესახები შეიქმნა მეორე ტაიმში, როცა დინამოელებმა ასე თუ ისე მოაგვარეს პირველი ტაიმის "გაუგებრობანი" და ხელთ აიღეს თამაშის მმართველობა. სასიხარულოა, რომ გუნდში გამოჩნდა გრძელი გადაცემები მინდვრის შუაგულიდან ფლანგებზე და ცენტრში, რაც შეტევაში იძლევა დროის მოგების საშუალებას და ნეიტრალური მდგომარეობიდან ქმნის სახიფათო მომენტს უშუალოდ მოწინააღმდეგის კართან.

ანგარიში გაიხსნა მატჩის დასაწყისში სწორედ ასეთი გადაცემიდან: სიჭინავამ შორი მანძილიდან მიაწოდა ბურთი მესხს, ეს უკანასკნელი დრიბლინგით გაექცა ორ მცველს, გადასცა კართან და მელაშვილმა ზუსტი დარტყმით გაიტანა გოლი \_ 1:0.

საპასუხო ბურთი "კრილია სოვეტოვმა" გაიტანა სულ მალე "დინამოს" მცველებისა და მეკარის შეუთანხმებლობის შედეგად. ბრედნევმა მიიღო გუზიკის გადაცემა და გაქვითა ანგარიში \_ 1:1. ტაიმის დასასრულს დინამოელები კვლავ წინ გავიდნენ (ბურთი გაიტანა მელაშვილმა ჩოხელის მიწოდებიდან).

შესვენების შემდეგ ვოლგელებმა ისევ გაათანაბრეს ანგარიში ანალოგიური მდგომარეობიდან (ბურთი კვლავ ჩააწოდა გუზიკმა და დეინეკინმა რამდენიმე მცველს შორის შეძლო მისი მიღება \_2:2).

გადამწყვეტი გოლი, რომელმაც თბილისის "დინამოს" მოუტანა გამარჯვება, თავით გაიტანა კალოევმა მესხის შორეული გადაცემიდან \_ 3:2. ეს იყო მეტად ეფექტური, ლამაზი გოლი.

ბ. ქორქია.

"ლელო", 21 ივნისი, 1959 წ.